ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 2 სექტემბერი № 1570

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—10)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ვერმიშევის და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, სახლი საგარდა-ზოსერსკისა, № 12. (5—2)

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი ჩვენება და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი 791.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ ყმაწვილებს ზემდეგრის და იუნკრის სკოლებისთვისაც. (16—10)

კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გახსნა

დღეს ტფილისში საგანგებო დღესასწაულია: იხსნება კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. ამ გამოფენის გამართვის აზრი დაიბადა ორის წლის წინად, როდესაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში აღიძრა ლაპარაკი ხსენებულ საზოგადოების 50 წლის იუბილეის დღესასწაულობის შესახებ. მაშინ საზოგადოებამ გადასწყვიტა გამართოს გამოფენა 1900 წლისთვის 50 წლის არსებობის აღსანიშნავად. შემდეგ, როდესაც გადაწყდა, რომ დღესასწაულობა უნდა გაიმართოს აგრეთვე საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო, გამოფენის მოწყობა გადიდვა მიმდინარე წლამდე. ამ რიგად, კავკასიის გამოფენა იმართება ორის იუბილეის აღსანიშნავად და ამიტომ სახელად ერქმევა „საიუბილეო გამოფენა“.

ეს მეორედ იმართება ჩვენს ქვეყანაში საერთო კავკასიის გამოფენა; პირველად იყო 1889 წელს. როგორც პირველი გამოფენა, ის არ იყო სრული და მაინც და მაინც საყურადღებო; ის უფრო შინაურული იყო და ამასთანავე—უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო.

მას შემდეგ ამიერ-კავკასიას საგრძნობელი ცვლილება დაეტყო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 10 წელიწადმა განვლო, ქვეყნის სამეურნეო და უმეტესად სამრეწველო მოღვაწეობა გაცხოველდა. ამ ათი წლის განმავლობაში ზურგი გაიმაგრა ნავთისა და მარგანეცის მრეწველობამ იმდენად, რომ მსოფლიო ბაზარზე პირველობა დაისაკუთრა; გაძლიერდა საქარხნო-საფაბრიკო მოღვაწეობა იმდენად, რომ ამიერ-კავკასიის ქალაქებში გაჩნდა დიდძალი კადრები მუდმივის მუშებისა; სხვა ელფერი დაედო თვით სასოფლო-მეურნეობასაც. მიუხედავად მცენარეულობის მრავალგვარ ავადმყოფობისა და სხვა დამაბრკოლებელ გარემოებისა, გაჩნდა და ძლიერდება ძვირფას მცენარეულობის კულტურა და უმჯობესდება წინანდელ სამეურნეო დარგების წარმოება და სხვა...

ეს შესამჩნევი წინსვლა ქვეყნის ეკონომიურის მოღვაწეობისა, რასაკვირველია, უნდა დაეტყოს დღევანდელს ჩვენს გამოფენას. ამიტომ ის მართლაც უფრო რთულია, უფრო სავსე და საყურადღებო, ვიდრე 1889 წლის გამოფენა იყო.. გამოფენის მომზადებისათვის მის ინიციატორთა და მომწყობთ ცოტა დრო ჰქონდათ. გამოფენის გამართვის ნებართვა ძალიან დაგვიანდა, ასე რომ მოსამზადებელი პერიოდი მხოლოდ სამი ოთხი თვე იყო. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ მცირე ვადასა და საქმის დიდ სიძნელეს, გამოფენის მომწყობთა ენერგიას არ ჩაუვლია უნაყოფოდ. ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველთ გამოფენის საყურადღებო განყოფილებანი, ახლა კი ვიტყვით, რომ ყველა განყოფილებანი საკმაოდ სავსენი და საყურადღებონი არიან. კერძო პავილიონები უმთავრესად მრეწველთ ეკუთვნით და მრეწველობის გამომხატველნი არიან; სასოფლო მეურნეობას ადგილი დაუჭერია უმთავრეს პავილიონში.

სიმართლე თხოულობს ვთქვათ, რომ გამოფენა ყოველმხრივ ვერ დაასურათებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობას. რაც უნდა იყოს, გამოფენა უფრო გარეგნობით ეხება ქვეყნის მდგომარეობას, მაგრამ უცხო სტუმარიც და მრეწველ-სპეციალისტიც უთუოდ იპოვის გამოფენაზე სასარგებლო და საყურადღებო საქმეს, ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით გაეცნობა ჩვენს ქვეყანას. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვეგებებით სიამოვნებით დღევანდელს დღესასწაულს იმ იმედით, რომ გამოფენა უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩვენის ქვეყნის წარმატებისათვის.

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-4 ნომერი.

მოლოდინი და საქმე

ზედა-პირულად რომ დააკვირდეთ საზოგადოების ცხოვრებას, ვერ გაიგებთ იმისს ნამდვილ მისწრაფებათ და სურვილს. ხალხის და საზოგადოების ნამდვილი ზნეობრივი ძალა ხშირად უჩინარია,—უჩინარია, რადგან ხილული მხოლოდ ის არის, რაც უკვე გამორკვეული და დამწიფებულია, ხოლო ის, რაც იბადება, ფესვს იკიდებს და იზრდება, დაფარულია და პირველის შეხედვით გაუგებარი. ხალხის სიცოცხლე ზღვას მოაგავს,—როგორც ზღვაში, სადაც მეტი სიღრმეა, მეტი სიწყნარე და სიმშვიდეა, ისე ხალხის უჩინარ, საიდუმლო გულის წიაღში მეტი ძალაა, მეტი ძლიერებაა.

ჩვენ ამ ჟამად სწორედ ამ ახალ ცხოვრების დაწყებითს ხანაში ვიმყოფებით. ის, რითიც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და „ახალი“ გზის, ახალი იდეალის ძიებაში ვართ. ჩვენს ძველ რწმენას და მისწრაფებას აღარ აქვს ცხოველ-მყოფელი ძალა. ჩვენი ძველი აზრთა წყობა დაირღვა, ჩვენი სულის სიძლიერე დაიკარგა და ამასთან ერთად „სიტყვიერებაც“, რომელიც ხმარებაში გვქონდა ამ დრომდე, დაძველდა და ჩვენს გონებას აღარას ეუბნება. ახალ აზრის და ახალ სიტყვის ძიებაში ვართ ჩვენ ამ ჟამად..

ჯერ არ დადგა ის დრო, რომ შევძლოთ დასახელება და გარკვევა ამ „ახალი“ აზრისა და ახალი «სიტყვისა», რადგან არც ეს აზრია დამწიფებული, ფრთებ-შესხმული, არც სიტყვას მიეცა გარეგანი გამომეტყველება. ჩვენ დუღილის ხანაში ვართ. და ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, ეს ჩვენი „დუღილი“ უნდა გვახარებდეს, გვამხნევებდეს, რადგან ყველა ეს სიცოცხლის მომასწავებელია, რადგან სიცოცხლე—მოლოდინია და მოლოდინი და რწმენა—დიდი ბედნიერებაა.

მხოლოდ მარტო „მოლოდინით“ ჩვენ ვერ ვკმაყოფილდებით. გარემოება და თვით ეს ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს. ჩვენი „საქმე“ უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებიდან წარმოშობილი, ცხოვრების საჭიროებად მიმართული. ლაპარაკს და სჯა-ბაასს მოქმედება უნდა მოჰყვებოდეს, მოქმედება ცოცხალი, მარტივი და ნაყოფიერი საჭიროა სხვა და სხვა წრეების დაარსება „საქმეების“ პრაქტიკულად მოწყობისათვის. მხოლოდ, რას უნდა მივაქციოთ თავდაპირველად ჩვენი ყურადღება, რა საქმე უნდა იყოს ჩვენი პირველი საქმე? ამის გადაწყვეტა ძნელია, რადგან ბევრია რამ გასაკეთებელი ჩვენში; ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ყოველი ცოცხალი საქმე ერთნაირად საჭირო და ერთნაირად სანუკვარია ჩვენთვის, ამისათვის იმ საქმეს, რომელზედაც დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ, რაიმე არსებითი უპირატესობა არა აქვს სხვა საქმეებთან შედარებით,—იგი ამ ჟამად მხოლოდ უფრო მოსახერხებელ საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენი ლიტერატურა ღარიბი ლიტერატურაა. ამას ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, ყველანი ვწუხვართ ამაზედ. და განსაკუთრებით კი საგრძნობელია ჩვენი ლიტერატურის სიღარიბე იმათთვის, ვინც სხვა ენების უცოდინარობის გამო, უნდა დაკმაყოფილდეს ქართულ ბეჭდვით სიტყვის შინაარსით. კარგ სალიტერატურო წასაკითხ წიგნს თითებით მოსთვლით. რაც შეეხება საყმაწვილო წიგნებს და მეცნიერების დარგს, აქ ჩვენი სიღარიბე სამარცხვინოდ თვალსაჩინოა. ამ ჩვენს გაჭირვებას უნდა ვუშველოთ, კერძოთ, თვითვეულად კი არა, საერთოდ, შეთანხმებულად. რასაკვირველია, წიგნების წერა რომ შევეძლოს, ჩვენ აქნობამდე დავწერდით ამ წიგნებს. სამეცნიერო აზრის გამოქვეყნება რომ გვდომოდა, ამასაც მოვახერხებდით. ყველგან, სადაც რაიმე აზრი და გრძნობა დამწიფებულა, გარეგნობითაც გამოისახება, გარეგან გამომეტყველებას, ქერქს იკეთებს. ჩვენში არა ვხედავთ ამგვარ ნაწარმოებს, მაშასადამე ჩვენი გრძნობა და აზრი არ ყოფილა გაღვიძებული და დამწიფებული. და აი სწორედ ამ ჩვენ გონებითს დაქვეითებას რაიმე წამალი უნდა დავდოთ. თუ ჩვენ ჩვენი აზრი არა გვაქვს, სხვისი კარგი აზრი შევიძინოთ, თუ ჩვენი პოეტების ნაწარმოები არ გვაღელვებენ და არას ეუბნებიან ჩვენს გონებას, სხვის პოეზიას გავეცნოთ, თუ ჩვენი მხატვრობა, მუსიკა და ხელოვნება, საზოგადოდ, ჯერ კიდევ ნორჩია, დავეწაფოთ სხვის ნაწარმოებს, თუ ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენის საკუთარის ძალ-

ლონით საჭირო სამეცნიერო ცნობების გავრცელებას ხალხში, გავავრცელოთ უცხოელების საშუალებით. მისათვის საჭიროა თარგმნა და გადმოცემა უცხოელ ენებიდან და ნაწარმოებიდან ყველა იმისი, რაც ჩვენ გვიჭირს დღეს, რაც გვაკლია და რის დანაკლისიც დაუკმაყოფილებელ, სტოვებს ჩვენ სულიერ მოთხოვნილებას. საჭიროა სალიტერატურო წრის შედგენა, რომელსაც ექმნება მიზნად სალიტერატურო, საბავშო და სამეცნიერო წიგნების თარგმნა, აგრეთვე უცხოელების ხელოვნურ ნაწარმოების (მუსიკის, მხატვრობის და ქანდაკების) გადმოცემა-გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში (სამხატვრო ალბომებით, ოპერებით და სხვა რამ საშუალებით). გარემოება მოითხოვს ამ ჩვენს საჭიროებას დიდის ყურადღებით მოვეპყრათ. „წრეს“ (თუ დაარსდება) არ უნდა ჰქონდეს გასართობი და საქველ-მოქმედო ხასიათი. ყოველი წევრის შრომა უნდ- იყოს დაჯილდოვებული. წრეს უნდა ჰქონდეს თავისი თანხა. ჩვენს დროში ყოველი საქმე ფულით კეთდება. მომეტებულს ჩვენგანს ფული უჭირს, თავი დავანებოთ ქველ-მოქმედებას, მივაწოდოთ საზოგადოებას კარგი ნაწარმოები, და ნაცვლად მივიღოთ ჩვენი შრომის ფასი. ასეა ყველგან, ჩვენშიაც ასე უნდა იყოს.

ამ საქმის გაძლიერებისათვის, რასაკვირველია, კარგი მოფიქრება უნდა, საჭიროა გამორკვევა იმისი, რა წიგნები უნდა ითარგმნებოდეს, და როგორ უნდა იყოს განაწილებული შრომა წევრთა შორის. ყველა ეს საერთოდ უნდა გამოირკვეს და შემუშავდეს. ამ საქმეში განსაკუთრებულ დახმარებას და მხნეობას ჩვენი ქალებისაგან უნდა მოველოდეთ. ერთის სიტყვით, საქმის დაწყებაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს სხვაც უნდა მოჰყვეს, არა ნაკლებ საჭირო, არა ნაკლებ ცოცხალი. ამ სხვა საქმეებზე მერე მოვილაპარაკებთ. ამ წერილს ვათავებთ იმ აზრის გამეორებით, რომ „მოლოდინმა“ არ უნდა მოგვიკლას მოქმედების სურვილი და „ოცნებამ“ არ უნდა დაგვაშოროს მიწას.

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები.

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

31 აგვისტო.

ბუფალო. ბიულეტენი საღამოს $8^1/_2$ საათისა: „პრეზიდენტის მდგომარეობა არ არის სრულებით კარგი: საჭმელი მოუნელებელი დარჩა და კუჭი ვერ გაიწმინდა. მაჯა კარგი არა აქვს. ჭრილობას კარგი ფერი დევს. ძილი მშვიდობიანია. ტემპერატურა—100,2, მაჯა—128“.

დანციგი. ორივე იმპერატორი და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე გუშინ დილით ავიდნენ გემ „ვაიზერ ვილჰელმ II“-ზე გრაფ ლამზდორფისა და ფონ-ტირპიცის თანხლებით. ალლუმი მოხდა წითელსა და ცისფერ მხარეებ შორის. ცისფერი მხრის უფროსი იყო პრინცი ჰენრიხი და წითელისა—ადმირალი ტომსენი. გამარჯვებული დარჩა წითელი მხარე.

გელა. გუშინ ნაშუადღევის პირველ-საათზე „ვილჰელმ მე-II“-ზე გაიმართა საუზმე. იმპერატორ ვილჰელმის მარჯვნივ იჯდა რუსეთის იმპერატორი და მარცხნივ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე იმპერატორის მარჯვნივ იჯდა კანცლერი გრაფი ბიულოვი, იმპერატორების პირდაპირ ადმირალ კესტერი, ფონ-ტირპიცი და რუსის ვიცე-ადმირალი ლომენი. ალლუმის გათავების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა სთხოვა იმპერატორს ვილჰელმს გადასცეს ფლოტს მისი უდიდებულესობის დიდი კმაყოფილება მომხდარ ალლუმის გამო. იმპერატორ ვილჰელმმა გააცილა რუსეთის იმპერატორი „შტანდარტამდე“ და დაბრუნდა „ჰოჰენცოლერნ“-ზე.

დანციგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა გენერალ ფელდ-მარშალს გრაფ ვალდერზეეს ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი ხმლებით.

ბუფალო. შუაღამისას გამოვიდა შემდეგი ბიულეტენი: ცუდი ნიშნები მაკ-კინლეის მდგომარეობისა უკანასკნელ ბიულეტენის შემდეგ აღარ სჩანან. მაჯა 120, ტემპერატურა—100,2“.

ბუფალო. დილის 2 ს. და 50 წ. გამოვიდა შემდეგი ბიულეტენი: „პრეზიდენტის მდგომარეობა მეტად სერიოზულია და ყველაფერი მოსალოდნელია. ნაწლევების მოქმედება კარგი იყო, მაგრამ გული არ მოქმედებს საკმარისად. პრეზიდენტი სრულს მეხსიერებაშია. კანი თბილი აქვს. მაჯა 126, სუნთქვა—20, ტემპერატურა—100,38“.—დილის 9 საათზე და 4 წამზე პრეზიდენტის სახლიდან გამოვიდნენ ექიმები მანნი და მაინფერი; ესენი ამბობენ, რომ პრეზიდენტი ეხლა უკეთ არის, ვიდრე ერთის საათის წინ. ექიმებს ჯერ იმედი არ დაუკარგავთ.

ბუფალო. ყველა ექიმებმა ნება დართეს გამოცხადებულიყო, რომ პრეზიდენტი მძიმე ავადმყოფია.

გელა. 30 აგვისტოს იმპერატორი ვილჰელმი საპასუხო ვიზიტით იყო რუსეთის საიმპერატორო იახტაზე. ორივე იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი ჩავიდნენ ხელმწიფე იმპერატორის სადგომში. ამის შემდეგ იმპერატორები წავიდნენ „ჰოჰენცოლერნ“-ზე, საიდანაც ათვალიერებდნენ დანარჩენებს. შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა გააცილა რუსეთის იმპერატორი იახტამდე და ინახულა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე კრეისერ „სვეტლანაზე“. საღამოს 8 საათზე „შტანდარტ“ზე გაიმართა საღამოს ნადიმი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, ამალა, ადმირალები და გემების უფროსები. გერმანიის ამალის პირებს ებოძათ ორდენები. სუფრის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დიდხანს დაჰყო გემის ბანზე და უცქეროდა მშვენივრად გაჩირაღდნებულ გემებს რუსებისას და გერმანელებისას. საღამოს 11 საათზე მათი უდიდებულესობანი სიყვარულით გამოეთხოვენ ერთმანერთს და იმპერატორი ვილჰელმი დაბრუნდა „ჰოჰენცოლერნ“ზე.

კილი. რუსეთის დედოფალი და პრინცესსა ირენა გუშინ საღამოს დაბრუნდნენ გემმელპარკიდან აქაურ სასახლეში.

მადრიდი. საგასტამ გამოუცხადა «ჰერალდის“ თანამშრომელს, რომ ესპანიამ დაარწმუნა ყველა სახელმწიფოები, რომ მას ჰსურს დაიცვას statusguo მაროკკოში. სახელმწიფოებმა ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინეს მადრიდის მთავრობას და შეაგონეს მას არ დაესაჯა კაბილები, რათა არ მომხდარიყო საერთა შორისო უთანხმოება.

ტიანძინი. საფრანგეთის საახალშენო ჯარები მიდიან დღეს ტონკინში.

ბუფალო. 4 ს. და 35 წ. იტყობინებიან, რომ ოთხ საათზე შენიშნული გაუმჯობესება უმნიშვნელო იყო. პრეზიდენტის საკუთარი მდივანი ეს არის გამოვიდა სადგომიდან და სთქვა, რომ პრეზიდენტი ისვენებს. 4 ექიმი ავათმყოფთან არის. მდივანი იმედს არ იძლევა.

ვენა. „ფრემდებლატტი“ ამბობს დანციგში იმპერატორების შეხვედრის გამო: „ქვეყანამ გაიგო ეხლა, გერმანიისა და რუსეთის ინტერესები არსად შეურიგებელი არ არიან და ყოველთვის შესაძლებელია, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის შეტაკება არ მოხდეს. მონარქების პირად მეგობრობას აქ ემატება პოლიტიკური მეგობრობა სახელმწიფოებ შორის. ამავე დროს გერმანიას საუკეთესო განწყობილება აქვს, ბრიტანიის იმპერიასთან. ლონდონისაკენ მიმავალი მავთული არ უნდა იქმნას გაწყვეტილი მისთვის, რომ ხელმეორედ უფრო მტკიცეთ შეიკრას პეტერბურგთან. ამასთანავე გერმანიასა და ყველა სახელმწიფოებს შორის სუფევს კარგი განწყობილება და ნამეტნავად უგულითადესია ეს განწყობილება ავსტრ-უნგრეთთან და იტალიასთან. თითქმის საფრანგეთშიაც ცხადადა სჩანს, რომ შესუსტდა სამაგიეროს გადახდის სურვილი. გერმანიის პოლიტიკას სამართლიანად შეუძლიან იამაყოს ამ დიადი წარმატებით. დანცინგის ალლუმი დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ რუსეთმა გადასწყვიტა გერმანიასთანაც იქონიოს მეგობრობა და მშვიდობიანობა“.

კოპენჰაგენი. ინგლისის მეფემ, დედოფლისა და პრინცესების ვიქტორიისი და მოდისა, ბრიტანიის ელჩისა და ინგლისის კოლონიის წევრთა თანადასწრებით, მიიღო დღეს დეპუტაცია დანიის რამდენიმე ამხანაგობისა და დაწესებულებისა. დეპუტაციებმა მიართვეს ადრესი მისი დიდებულების ტახტზე ასვლის მისალოცად. შემდეგ ადრესის წაკითხვისა თეატრის უფროსის, გრაფის დონნეშოლდის მიერ, მეფემ უპასუხა: „ჩემისა და დედოფლის სახელით გულითადსს მადლობას გიძღვნით მეგობრულის მილოცვისათვის, რომელიც მე და დედოფალს გამოგვიცხადა დანიის ხალხმა. დავდგი რა ფეხი დანიის ნიადაგზე, პირველ დღიდანვე დანიელები განუწყვეტლივ მიცხადებდნენ გულითადს განწყობილებას, როგორც წევრს თავის სამეფო გვაროვნობისას. ამას მე დიდად ვაფასებ“. შემდეგ მეფემ სიხარულით აღნიშნა დანიელთა და ინგლის-საქსონელთა შორის მეგობრული განწყობილება, რომელიც თან-და თან მტკიცდება. დასასრულ მეფემ თავის მხრივ და დედოფლის მაგივრად გამოაცხადა სიამოვნება დანიაში მოსვლის გამო, რომელთანაც მტკიცე კავშირი აქვს და რომელიც ისე გულით დაუხვდა იმათ. დეპუტაცია, წარსდგა რა წინაშე მეფისა და დედოფლისა. გამოესალმა და წავიდა.

1 სექტემბერი

ლონდონი. ,,დაილ-ტელეგრაფ''-ი ამბობს, დანციგში იმპერატორების ერთმანერთის ნახვა ცხადად ამტკიცებს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოები სცდილობენ მშვიდობიანობის დაცვას. ინგლისის მეფემ კოპენჰაგენში მიიღო გრაფი ლამზდორფი და დიდ-ხანს ისაუბრეს; ეჭვ-გარეშეა, რომ მათ შორის საუბარი იმისთანავე იყო, როგორც დანცინგში და როგორიც იქმნება კომპიენში. ,,სტანდარტი'' ამბობს, რომ რუსეთის იმპერატორის მიერ დანციგში მისვლას, თუმცა ცოტა ხანს დაჰყო,—აქვს ხალხთა შორის მნიშვნელობა. «მორნინგ-პოსტ»-ი ჰსწერს: „იმპერატორთა ერთმანეთის ნახვა მოვლენაა, რომელიც თუმცა მოკლებულია განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ მიმართულია ერთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად.“

პარიზი. რამდენად რუსეთის იმპერატორის მობრძანების დრო ახლოვდება, საფრანგეთის სიხარული თან და თან მატულობს. ზემო-მარნის დეპარტამენტის დეპუტატებმა მიჰმართეს თავიანთ თანამცხოვრებთ შემდეგის სიტყვით: „რუსეთის იმპერატორი მეორეთ იქმნება საფრანგეთის სტუმარი. მთელი მხარე, ბედნიერი და ამაყი, აღსდგა მეფის მისაგებებლად და ამაყად უჩვენებს ჩინებულს ფლოტს და ლაშქარს, გასაკვირველის გაწვრთნილობითა და პატრიოტობით. ძლიერი საფრანგეთი უძლიერესად ჰგრძნობს თავის თავს მძლავრ მოკავშირესთან ერთად და მიდის რეიმსში საღამი მისცეს ლაშქარს, რომელიც გვიყვარს ჩვენ და პატივსა ვცემთ და რომელიც ჩვენის სამშობლოსათვის გულია და მკლავი. სამმა დიადმა მოქალაქემ მოაწყეს ეს სატრიუმფო დღეები—რესპუბლიკის პრეზიდენტმა, საბჭოს პრეზიდენტმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა. დიდია იმათი ღვაწლი წინაშე ერისა“.

ბუფალო. პრეზიდენტის შესახებ შემდეგს იუწყებიან: დილის მესამე საათზე ლონე თანდათან აკლდებოდა; ცვლილება გუშინ შუადღის შემდეგ დაიწყო, როდესაც კუჭი და სტომაქი აღარ მოქმედებდენ და ჰამა-კი აუცილებელი საჭირო იყო ავადმყოფისათვის; რადგანაც ხელოვნური კვება ავადმყოფისა მხოლოდ ცოტათი აკმაყოფილებდა იმას, შეუდგნენ ჩვეულებრივად საჭმლის ძლევას. ცხადია, რომ სტომაქს ჯერ კიდევ არ შეეძლო მონელება საჭმლისა, თუმცა 1-ელ და მე-2-ე დღეს რომ ხორცის ცვარი აჭამეს, კარგად იმოქმედა. გუშინ გამოირკვა, რომ საჭმელს სარგებლობა არ მოჰქონდა. მაჯა ძალიან უცემდა—128-ჯერ. სიცხე—100,2 ჰქონდა. გული ძალიან უსუსტდებოდა. ავადმყოფი თან-და-თან ცუდად ხდებოდა და შუაღამისას საშიშ მდგომარეობამდე მივიდა; ავადმყოფს დაალევინეს კალომელი ნაწლევების გასაგრილებლად და ნაპერსტიანკა გულისცემის დასამშვიდებლად. მესამე საათზე დარწმუნდნენ, რომ მაჯა თან-და-თან სუსტად და უთანასწოროდ უცემდა: პრეზიდენტს გული შეუწუხდა. დაალევინეს კიდევ ნაპერსტიანკა და სტრიხნინი უკანასკნელ საშუალებასაც მიჰმართეს, სხეულში შეასხურეს გახსნილი მარილი, მაგრამ უნაყოფოდ. ყველანი დაწმუნდნენ, რომ ავადმყოფი უკანასკნელ დღეშია.

ვაშინგტონი. დილის $7^1/_2$ საათი. ეს არის ეხლა მიიღეს თეთრ სახლში კარტლატონის დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ შემდეგ უკანასკნელი ბიულეტენისა, მაკ-კინლეი ცოტა უკეთ არის.

ბუფალო. დილის 10 საათი. ქალბ. მაკ-კინლეიმ ჯერ არ იცის პრეზიდენტის ავადმყოფობის გაძნელება; ექიმებმა გადასწყვიტეს არ შეუშვან ქმართან. ალბანიდან საგანგებო მატარებელი გამოვიდა ვიცე პრეზიდენტის მოსაყვანად. მეათე საათზე ერთმა ექიმთაგანმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი დილანდელზე უკეთ არისო. ესეც და ამისი ამხანაგიც გულის ავადმყოფობის ექიმები არიან და, თუმცა ძალიან შეფიქრიანდნენ, მაგრამ მაინც იმედი არ დაუკარგავთ სრულიად.

ყურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. თუმცა დეპეშები გვატყობინებენ, მაკ-კინლეი უკეთაა და შეიძლება მორჩესო, მაინც კარგა ხნის განმავლობაში თავის მოვალეობის აღსრულებას ვერ შეიძლებს; თუ მაკ-კინლეი მალე ვერ მორჩა, ანუ უცხო სახელმწიფოებთან რამე უთანხმოება მოხდა, ვიცე-პრეზიდენტი რუზველტი დროებით პრეზიდენტის ადგილს დაიჭერს. თუ ვინიცობაა მაკ-კინლეი გარდაიცვალა, მაშინ კონსტიტუციის ძალით რუზველტი გახდება პრეზიდენტად და იმ დრომდე დარჩება ამ თანამდებობაში, ვიდრე ოთხი წლის ვადა არ შესრულდება, ესე იგი 1905 წლის მარტამდე (ახ. სტ.), როდემდინაც თვით მაკ-კინლეი იყო ამორჩეული.

ეხლანდელ ვიცე-პრეზიდენტს რუზველტს დიდი სახელი აქვს დამსახურებული მთელ ამერიკაში. თუმცა თითონ რესპუბლიკელთ დასის წევრია, მაგრამ თავის დასს გარდა, სხვა დასებიც დიდ პატივსა სცემენ. რუზველტმა ჯერ 1898 წელს ესპანიასთან ომის დროს გაითქვა სახელი. შემდეგ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად იყო არჩეული და აქაც თავისი მხნე-მოღვაწეობით დიდად ისახელა თავი. ვიცე-პრეზიდენტი იმპერიალისტია: იმ აზრისაა, რომ ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში უნდა გაერიოს. ამას გარდა მონროეს დევიზის მომხრეცაა: «ამერიკა-ამერიკელთათვისაო». მისის აზრით, ევროპის სახელმწიფოებს სრულებით უფლება არა აქვთ ამერიკის სახელმწიფოების საქმეში გაერიონო. იმ დღესაც გვქონდა მოხსენებული მისი ნალაპარაკევი. მინეაპოლისში რუზველტს ამ საგანზე ელაპარაკნა და მოკლედ, ქართულად რომ ვსთქვათ, გერმანიისათვის შეეთვალა: ხელი

ეროვნული

ფაფასათ! არ გაჭბელო და შუა ამერიკის რესპუბლიკებს (ვენეცუელასა და კოლუმბიას) ხელი არ ახლოთ.

რუზველტი არც თუ შინაურ რეფორმებს ივიწყებს. რუზველტი დიდად მოწადინებულია, რესპუბლიკის სამოქალაქო სამსახურის რეფორმა მოახდინოს. ამერიკაში ამნაირი წესია მიღებული: რომელი პარტიაც გაიმარჯვებს არჩევანში, ყველა წინანდელ მოსამსახურეებს გააგდებენ და სულ თავის დასის მომხრეებს დანიშნავს ხოლმე. ბევრი ცუდი შედეგი მოსდევს ამისთანა წესსა. რაკი იცის—მალე გამოვიცვლებით, მოხელე ეშურება და სანამ თითი თაფლში აქვს, ცდილობს კარგად გაილოკოს. ამიტომ მექრთამეობა თავისუფალ, განათლებულ ამერიკაშიაც ძლიერაა გავრცელებული. ამერიკელებს სწყინდათ ეს წესები. დიდი ხანია წერით, თუ ლაპარაკით ცდილობენ, საჭირო რეფორმა მოახდინონ. თუმცა კონგრესმა გამოსცა კიდეც ზოგიერთი კანონი ამისთანა წესების წინააღმდეგ, მაინც საქმეს არ ეშველა. რუზველტი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამისთანა წესებისა და როცა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად აირჩიეს, თავისი აზრები აასრულა კიდეც. ერთი მოხელეც არ გამოუცვლია იმ საბუთით, რომ აქაო და ჩემი დასის არა ხარ, არც სამსახური შეგიძლიაო. ეხლაც, როცა პრეზიდენტის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, რასაკვირველია, ეცდება თავისი აზრები უფრო ვრცლად აასრულოს და კონგრესსაც ახალი კანონები გამოაცემინოს ამ უხეირო წესების შესაცვლელად.

რუზველტი 1858 წელს დაბადებულა ქალ. ნიუ-იორკში. ასე, რომ ეხლა სულ 43 წლისაა; ჯერ ჯანით და ღონით სავსე კაცია: შარშან რომ პრეზიდენტს არჩევდნენ, რუზველტმა 8 კვირის განმავლობაში 24 შტატი და 567 ქალაქი მოიარა, 21,900 ინგლისური მილი გაიარა და 673 ადგილას ილაპარაკა. მისი ლაპარაკი, სულ მცირედ რომ ჩავაგდოთ, 3 მილიონ კაცს მოუსმენია.

აგ არის, რომ გაზეთები ხმას არ იღებენ იმაზე, თუ რა აზრისაა, რანაირად უყურებს რუზველტი სხვა სოციალურ საქმეებს, რანაირი აზრისაა, მაგალითად, ყოვლად ძლიერ სინდიკატებზე, ტრესტებზე და სხვ. მაკ-კინლეისავით მათი მოსარჩლე და მსახურია, თუ არა. ფოლადის სინდიკატსა და მუშებს რომ ბრძოლა აქვთ, მაკ-კინლეიმ კრინტიც არ დასძრა, თითქო ეს დამღუპველი ბრძოლა ამერიკაში კი არა, სადმე უცხო ქვეყნებში ყოფილიყოს. მუშების მეთაურს შეფერს კიდეც შეეთვალა: რას გახუმებულხარ, ხმა ამოიღე, ერთი შენი აზრიც გავიგოთო. არჩევანი უნდა იყვეს, რომ მალე აგალაპარაკებდით, მაგრამ რას იზამ, ჯერ კიდევ დიდი ვადა გაქვსო. შეფერი და მისი მიმდევარი მუშები თურმე არჩევნის დროს მაკ-კინლეის მხარეს ყოფილიყვნენ. ეხლა შეფერი ძლიერ ნანობდა, შევცდით, რომ დემოკრატების კანდიდატს ბრაიანს ვუღალატეთ და სინდიკატების მოსარჩლეს მაკ-კინლეის მივუდექითო.

✦ გაზეთ «ტან»-ს ატყობინებენ შეერთებულ შტატებიდან:

«კანზასში 17 სექტემბერს (ახ. სტ.) დიდი კრება მოხდება. კრებაზე იმის შესახებ ექნებათ ლაპარაკი, რომ ახალი პოლიტიკური დასი შეადგინონ. ამ ჟამად ამერიკაში უმთავრესად ორი დიდი დასი არსებობს—რესპუბლიკელებისა და დემოკრატებისა. რესპუბლიკელების წარმომადგენელი პრეზიდენტი მაკ-კინლეია და დემოკრატებისა—ბრაიანი. მაგრამ ამ დასებს ბევრი უწივის ამერიკაში, ბევრს არ მოსწონს მათი პროგრამმა. აი სწორედ ეს უკმაყოფილოები ახდენენ კრებას კანზაში. ახალ დასს ყველა ამერიკელი რადიკალი მიემხრობა. ამ დასის უმთავრესი საგანი იქნება ბრძოლა ყოვლად ძლიერ სინდიკატებსა და ტრესტებთან.

ინგლისი. ტრედ-უნიონების კონგრესს სვანზიში 22 აგვისტოს კიდევ ლორდთა პალატის დადგენილებაზე ჰქონდა ლაპარაკი. ამ საგნის თაობაზე მუშების საპარლამენტო კომისიამ რეზოლიუცია წარუდგინა კონგრესს და კონგრესმაც ერთ-ხმივ მიიღო ეს რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციის შინაარსი ვიცით კიდეც, მაგრამ საჭიროა კიდევ შემდეგი ადგილიც ამოვწეროთ:

«ამ ბოლო დროს სასამართლოებმა ზოგიერთი საყურადღებო საქმე გაარჩიეს. ყველაფრიდან ნათლად სჩანს, რომ საქმის პატრონებს და მათ წარმომადგენელ სხვა-და-სხვა დამზღვევ საზოგადოებას აზრადა აქვთ ყველა ტრედ-უნიონის წინააღმდეგ სასტიკი კანონები დააწესონ. ჯერ-ჯერობით პატარა და ღარიბი ტრედ-უნიონები ამოიღეს ნიშანში. მუშებმაც თავიანთ მხრივ ხმა უნდა ამოიღონ და საქმის პატრონებთან საბრძოლველად ცალკე საგანგებო ფონდი დააარსონ».

ამას გარდა კონგრესმა დაადგინა: აუცილებლად საჭიროა შენობების ყურის საგდებლად ინსპექტორები დაინიშნოს; დედა-კაცებს და ახალგაზრდა ქალებს დანიშნული ვადის გარდა აღარ ამუშავებდნენო და 15 წლისაზე ნაკლები ხნის ბავშვებს, ქალსა თუ ვაჟს, ხელობაში მუშაობა აეკრძალოსო. ბენ-ტილეტმა ურჩია კონგრესს, მოვითხოვოთ, რომ საქმის პატრონთა და მუშებს შუა ყველა დავის გადასაწყვეტად სავალდებულო სამედიატორო სასამართლო დაწესდესო. ამაზე დიდი კამათი ასტყდა. ბოლოს კონგრესმა ბენ-ტილეტის აზრი უარჰყო. ბენ-ტილეტს 366 ათასი მუშის წარმომადგენელი მიემხრო, მისი წინააღმდეგი კი—676 ათასი მუშის წარმომადგენელი იყო.

23 აგვისტოს კონგრესმა დაადგინა: საერო განათლებაზე რაც ხარჯი მიდის, სახელმწიფო ხაზინამ უნდა იკისროს და საერო განათლების საქმეს თითონ ერის წარმომადგენლები უნდა ადევნებდნენ თვალ-ყურსაო. სტედმანის რჩევით, კონგრესმა დაადგინა: ტრედ-უნიონებისა, კოოპერატიულ საზოგადოებათა, ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებათა და სხვათა წარმომადგენლების კრება მოვახდინოთო. ამ კრებამ მუშების დაზღვევის პროექტი უნდა შეადგინოს; ამას იქით ყოველ მოხუცებულ მუშას პენსია უნდა ეძლეოდესო. კონგრესმა თავის რეზოლიუციაში მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამ პენსიას მოწყალებისა და ქველ-მოქმედების ხასიათი არა ჰქონდესო. რეზოლიუციაში ნათქვამია:

«ჩვენი დროის ცხოვრებამ, მრეწველობის განვითარებამ აუცილებლად გახადა, რომ ყოველ მოხუცებულ მუშას პენსია ეძლეოდეს. მაგრამ ამ ჩვენი დროის მოთხოვნილებას მარტო ისეთი კანონი შეასრულებს კარგად, რა კანონიც პენსიის მიღების უფლებას ყოველ მოქალაქეს მიანიჭებს. ყოველ მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს, როცა კი დანიშნულ წლოვანობას მიაღწევს, მოურიდებლივ პენსია მოითხოვოს. ვსთხოვთ სამინისტროს ყველაფერი შეასრულოს, რასაც მისი მომხრეები 1895 წლის საზოგადო არჩევნების დროს დაგვპირდნენ. გავახსენებთ სამინისტროს, რომ ამ დაპირებიდან დღემდე არაფერი არ შეუსრულებიათ».

სამხრეთ-აფრიკა. «დეილი ნიუსსა»-ს ატყობინებენ სამხრეთ-აფრიკიდან: «ინგლისის მთავრობა მეტად სასტიკათ იქცევა. ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრი ხალხი დაატუსაღეს. კაპის მინისტრად ნამყოფი მერიმანიც დააპატიმრეს. ეს ის მერიმანია ინგლისში, რომ იყო კაპელების დელეგატათ. მერიმანი მეტად თავდაჭერილი ზომიერი კაცია. ლონდონში რომ ინგლისელებმა ბურების სასარგებლოდ დიდი კრება მოახდინეს, მერიმანი იმ დროს იქ იყო, მაგრამ არ დაესწრო. სადა ამისთანა ფრთხილ კაცს აპატიმრებენ, სხვას რაღა ხეირს დააყრიან. ევროპიდან მოსულ გაზეთებს სანამ ცენზორი არ გაჰსინჯავს, არავის ნება არა აქვს წააკითხოს. ყველა ამ სასტიკი ღონისძიებით უნდათ ბურები შეაშინონ, მაგრამ მაინც ბურები თავისას არ იშლიან: წინანდებურათ მხნეთ იბრძვიან და ამბობენ: ეს ბრძოლა ჩვენით არ გათავდებაო. როცა ჩვენ სულ ერთიანათ გავწყდებით, ჩვენი შვილები და შვილი-შვილები განაგრძობენ ბრძოლასო».

ახალი ამბავი

✦ მიწად-მოქმედების მინისტრი ბ. **ერმოლოვი**, რომელიც 28 აგვისტოდან კისლოვოდსკში იმყოფება, ამ თვეში ჯერ ჩერნომორის გუბერნიაში წავა და, შემდეგ ტფილისში ჩამოვა გამოფენის დასათვალიერებლათ.

✦ 20 სექტემბერს საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად ტფილისში ჩამოვა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის საბლერი. საბლერის მისაღებად იმ დროისათვის ტფილისში ჩამოვლენ ეპისკოპოსები: იმერეთისა, გურია სამეგრელოსი, აფხაზეთისა და ყველა წარჩინებულნი სასულიერო პირნი.

✦ **საიუბილეო გამოფენის** უმთავრესმა კომიტეტმა ათასამდე პირი მოიწვია დღეს გამოფენის გახსნაზე დასასწრებლად.

✦ ტფილისის **სამხედრო ოლქის სასამართლოს** ბრალმდებელი გენერალ-მაიორი შჩერბოვიჩ-ვეჩერა გადაიყვანეს ომსკის სამხედრო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

✦ რამდენიმე პირს ტფილისში განზრახვა აქვს დააარსოს **იაფ ფასიან სადგომების** ამშენებელი ამხანაგობა. ეს აზრი ორი წლის წინადაც სურდათ განეხორციელებიათ, მაგრამ უფულობის გამო ვერა გააწყეს-რა. საქმის ეხლანდელ ინიციატორებს იმედი აქვთ საქმეს მოუარონ. მომავალ ამხანაგობის საწევრო შესატანი იმდენად მცირე იქნება, რომ გასაჭირი არავისათვის იქნება გადახდა. ამ გვარად მოგროვებულის ფულით შეიძენენ ქალაქის განაპირა ნაწილში ადგილს, სახლების აშენებას გასცემენ იჯარით, აშენებულ სახლს დააგირავებენ და აღებულის ფულით გაისტუმრებენ მოიჯარადრეს. შემდეგ სახლის პატრონი იხდის აღებულ ვალის სარგებელს.

✦ სათანადო მთავრობას განზრახვა აქვს ძირიანად შესცვალოს **«სოფლის მწერლების“** ინსტიტუტი. სოფლის მწერლად უნდა დაინიშნონ განსაზღვრულ განათლებისა და განსაკუთრებულ მომზადების პატრონები.

✦ **სახელოსნო და მოქალაქეთა წოდების** რეფორმა წელს აღარ მოხდება. ამ რეფორმის საქმე ჯერ უნდა განიხილოს განსაკუთრებულმა კომისიამ. კომისიის მოსაზრებას განიხილავს შინაგან საქმეთა მინისტრი მხოლოდ მომავალ წლის ბოლოს.

✦ გუშინ დაასაფლავეს უეცრად გარდაცვალებული სახაზინო პალატის უფროსი **ბუტირკინი**.

✦ სასულიერო სასწავლებლებში წესით **არა სასულიერო წოდების ბავშვებს** მხოლოდ 10%-მდე იღებენ. რადგანაც ტფილისის სასულიერო სასწავლებელში თავისუფალი ვაკანსიები ყოფილა და მთხოვნელებიც არიან, აღნიშნულ სასწავლებლის მთავრობის თხოვნით საქართველოს ეგზარხოსს დეპეშით მიუმართავს უწმინდესი სინოდისათვის, რომ ნება მიეცეს ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მთავრობას აღნიშნულ %-ზე მეტი არა სასულიერო წოდების პირნიც მიიღოს სასწავლებელში.

✦ უმაღლეს მთავრობას გარდაუწყვეტია კავკასიაში არსებული **საკარანტინო დაწესებულებანი** და ადგილობრივი საკარანტინო დარაჯები გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას (აქამდე ფინანსთა სამინისტროს უწყებაში იყო). საკარანტინო მოვალეობის აღსასრულებლად კავკასიაში დააარსებენ 15-ს ზედამხედველ საექიმო პუნქტს. საკარანტინო დარაჯები სრულებით აღარ იქნებიან. საზოგადო გამგეობა საკარანტინო დაწესებულებებისა იქნება კავკასიის მთავარ-მართებლის ხელში. ყოველ-წლიური ხარჯი ამ დაწესებულებებისა 1902 წლის 1-ლ იანვრიდან იქნება 125,580 მ.

✦ ამ წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში ქიათურიდან გაუტანიათ ბათუმისა და ფოთის ნავთ-სადგურის საშუალებით 4,071,807 ფუთი შავი-ქვა 981,482 მ. და 68 კ. ღირებულობისა.

✦ **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყო 1 სექტემბრიდან და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე; სწავლა სემინარიაში 6 სექტემბრიდან დაიწყება.

✦ ტფილისის ქალაქის **პირველ დაწყებით სკოლებში** სწავლა დაიწყება 3 სექტემბრიდან.

✦ ახალციხის ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია დაუთმოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» 30 ოთხ-კუთხი საჟენი ქალაქის მიწა, რომელზედაც საზოგადოების გამგეობას გარდაუწყვეტია ააგოს **საკუთარი შენობა** ახალციხის სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკის მოსათავსებლად.

✦ რუსულ გაზეთებში მოყვანილი იყო ხმა, ვითომც საიმპერატორო თეატრების დირექციას განზრახვა ჰქონდეს თავის-თავზე მიიღოს **ოდესისა და ტფილისის** თეატრების მართვა-გამგეობა. ეხლა იტყობინებიან, რომ ეს ხმა ტყუილია.

✦ უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს შეამციროს **ალკოგოლიკ მშობლების** უფლებები შვილებზე.

✦ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ **თონეთის სკოლის** მასწავლებლის ადგილი თავისუფალია ამ ჟამად, რადგანაც ამ სკოლის მასწავლებელი ლავ. ალლაძე წინამძღვარიანთ სკოლაში გადავიდა.

✦ როგორც იტყობინებიან, მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ჩერნომორის გუბერნიაში დაბალი **სამეურნეო სასწავლებელი**.

✦ გუშინ წინ ბათუმის მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა **პეტერბურგელი სკულპტორი** კაზლოვი და მოინდომა „გრანდ-ოტელში“ გაჩერება. სასტუმროს პატრონს შეემჩნია ახალ-მოსულისათვის, რომ იგი სრულ ჭკუაზედ არ იყო და ამიტომ ნომერი არ მიეცა. გაბრაზებულ კაზლოვს ბარგი იქვე დაეყარა, თვითონ ეტლში ჩამჯდარიყო და დაეწყო პოლიციის ნაწილებში სიარული: იგი ყველგან ტელეფონით ლაპარაკის ნებართვას თხოულობდა, მაგრამ არსად ნება არ მიეცათ. ბოლოს წასულიყო მუშტაიდში და იქ გამვლელსა და გამომვლელს უშვერის სიტყვებით ლანძღავდა. პოლიციამ შეიპყრო კაზლოვი და ნაწილში წაიყვანა. აქ იგი შეამოწმეს ექიმებმა და აღმოჩნდა, რომ სულით ავადმყოფი იყო. როგორც ყოველთვის, ამ დღესაც არ აღმოჩნდა ადგილი საავადმყოფოში და საბრალო ავადმყოფი აქამდე პოლიციაში იმყოფება.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **სააფიშე ბოძების** გაკეთება მისცა საჯარო ვაჭრობით იაკუბოვიჩს 2500 მანეთად.

✦ **ხელოვნურ მადნეულ წყლის** ქარხნის პატრონებმა სთხოვეს ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას ნება მისცენ ქარხნების გახსნისა, რადგან მათ შეასრულეს ყველა ის, რაც განსაკუთრებულმა კომისიამ მოითხოვა. ადმინისტრაციამ ამ თხოვნების გამო დანიშნა განსაკუთრებული კომისია. მხოლოდ მექარხნე ტერ-ტეროვს პირდაპირ უარი უთხრეს ქარხნის გახსნაზე, სანამ იგი თავის დაწესებულებას არ გადაიტანს სხვა, უფრო მოხერხებულ, ადგილას.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გამოფენის კომისარმა თავ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს, რომ **ცხენის რკინის გზა** გაეყვანა გამოფენის უმთავრეს პავილიონამდე; რადგანაც სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს წინადადება საზოგადოებამ ვერ შეასრულა, გადასწყვიტა ელისაბედის ქუჩაზე გამოფენის შესახვევთან გააჩერონ ხოლმე ვაგონები და ავდრის შემთხვევისათვის გამართონ ხალხის დასადგომად

დროებითი ფარდული; ფარდულის გამართვის ნება უკვე დართო საზოგადოებას ტფილისის ქალაქის გამგეობამ.

— ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში 1 სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

პრესსა

„სტეპნოი კრაი“-ში ვკითხულობთ:

„15 მაისს ომსკისა და სემიპალატინსკის ეპისკოპოსი იყო კირგიზების მისიის ბუკონის სოფელში. აქ სცხოვრობენ ახლად მონათლული კირგიზები. ყოვლად-სამღვდელო სერგი კირგიზულ ენაზე აძლევდა კითხვებს მოზარდ კირგიზებს და რჩევა მისცა მასწავლებელთ, რომ საგნების სწავლება კირგიზულ ენაზე აწარმოონ.

„ამ ზაფხულზეო, განაგრძობს გაზეთი, სატახტო გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს გახსნას 30-მდე სკოლა აკმოლინსკისა და სემიპალატინსკის ოლქებში და ერთიც სამასწავლებლო სემინარია ქ. სემიპალატინსკში. თუ ამ სკოლებშიაც გაუგებარ და აუხსნელ რუტინას გამოეკიდებიან, სწავლება ამ სკოლებში რუსულ ენაზე უნდა იქმნეს. უცხო ენაზე საგნების სწავლება სრულიად უსარგებლოდ ერთობ ბევრ დროს უკარგავს მოსწავლეს... და რადგანაც სკოლის მიზანი მხოლოდ განათლების გავრცელება უნდა იყოს, საქმის რიგიანად დაყენებისათვის საჭიროა ეპისკოპოს სერგის კეთილ რჩევის მიღება. თუ სამისიონერო სკოლებში საჭიროა საგნების სწავლება კირგიზულ ენაზე, მით უფრო საჭიროა ამ გვარ ზომის მიღება განზრახულ სკოლებში.“

* * *

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ იქცევა ზემოდ მოყვანილ გარემოებაში უცხოეთის სამღვდელოება და მთავრობაც. რუსულ გაზეთში მოყვანილია ცნობები საფრანგეთის კოლონიის მადაგასკარის სკოლების შესახებ.

„კუნძულის სხვა და სხვა ნაწილებში კათოლიკე მისიონერებს აქვთ 3000-მდე სკოლა, ამათგან 2500—პირველ დაწყებითი სკოლებია და დანარჩენი საშუალო სკოლების პროგრამმით. ფრანგ პროტესტანტ მისიონერებს აქვთ 240 სკოლა; ამათგან 88 სკოლაში მასწავლებლად არიან მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ ამავე მისიონერების სამასწავლებლო სემინარიაში იმერინში.

ნორვეგიულ მისიონერებს ეკუთვნით მადაგასკარზე 900 სკოლა, ანგლიკან ეკლესიის წარმომადგენელთ—270.

საგნებსა და უცხო ენებს ასწავლიან უფრო მალგაშურ ენის საშუალებით, რადგან ეს ენა უფრო გავრცელებულია კუნძულზე; არის სკოლები, სადაც ასწავლიან სხვა ადგილობრივ ენებზედაც. ამ ენებზე უკვე არსებობს დიდძალი სახელმძღვანელოები მეცნიერების სხვა და სხვა დარგისა“.

* * *

ბალტიის პროვინციებში გამოდის, სხვათა შორის, ორი რუსული გაზეთი-„რიჟსკი. ვესტნიკი“ და „პრიბალტიისკი კრაი“. პირველი ეკუთვნის იმ ჯურს გაზეთებისას, რომელსაც ჰაინეს მიბაძვით შეიძლება დაერქვას რუსეთის იმპერიის „არა-რუსთა შთამნთქმელი“ ყოველ თავის ნომერში ეს მადიანი გაზეთი, „მოსკოვსკი ვედომოსტები“-სა არ იყოს, ჰულაპავს ან გერმანელს, ან პოლონელს, ან ფინლანდიელს (ჩვენ და სომხებს ვერ მოგვწვდა ჯერ სიშორის გამო). „პრიბალტიისკი კრაი“ უფრო კეთილშობილურ მიმართულებისაა და ამიტომაც „მოყიდული“-ს სახელი დაიმსახურა. გაზეთი თავის ღირსების დამცირებად სთვლის თავი იმართლოს ამ გვარ ბრალდებისაგან, მაგრამ ერთხელ კიდევ გამოსთქვამს თავის აზრს „არა რუსთა“ შესახებ. გერმანელების მოქმედება პოზნანში ამტკიცებსო, თუ რა ცოტა კეთდება ბოროტებით და ძალ-მომრეობით. ამიტომაცო, ამბობს გაზეთი,

„ის გამოცემები, რომელნიც ეხლა გაიძახიან „ჰკა მაგას“ გერმანელებს, ებრაელებს, ფინლიანდელებს და სხვა, ძალიან ცუდ სამსახურს უწევენ იმ საქმეს, რომელსაც უნდა ემსახურებოდნენ: არა რუსთა ინტელიგენცია, რომელსაც ამ ველურ ქადაგებას რუსეთის საზოგადოებრივ აზრის მიმართულებად უჩვენებენ, არ დაუახლოვდება ისეთ ერს, რომელიც იქამდე ვერ განვითარებულა, რომ სხვის კულტურას პატივი სცეს, თუ, რასაკვირველია, ამ ინტელიგენციას აქვს გრძნობა და შეგნება საკუთარის ღირსებისა“.

პეტერბურგის ბირჟა 31 აგვისტოს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	45,97½
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,12½
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	249 გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის სადამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავროს-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის სადამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის სადამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიმოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოდ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ხვლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერ-ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ავადმყოფებ უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

მე-XIII პერიოდი ბუჰგალტერიაში მაცადინეობისა.

ნ. ვ. აბრამიანი,

„სავაჭრო და საფაბრიკო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით **ასწავლის ბუჰგალტერიას** ორივე სქესის პირთ **ოთხის თვის განმავლობაში,** თავდებობით და, თუ საჭირო იქმნება, რეკომენდაციითაც. **ასწავლის შემდეგ საგნებს:**

1) იტალიური ბუჰგალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.

2) კომმერციული არითმეტიკა.

3) კომერციული კორრესპონდენცია.

4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.

5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.

სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, სალამოს 4 საათიდან 6-მდე.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.

ბუჰგალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი. (10—7)

პანსიონი

და მოსამზადებელი სკოლა

გ. ი. ტომასისა

ელისაბედის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 95/18. იღებენ ორივე სქესის ბავშვებს. სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. (5—5)

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

გერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (0—0)

მთა მადნის ინჟენერის ალექსანდრე მიხეილის ძის

მიხაილოვის და კო

ამხანაგობა ქუთაისის ქალაქის წყლის მილისა, ამით უცხადებს პაის პატრონებს, რომ ვადა ფულის მეორე შემოტანისა არის **10 სექტემბერს, 1901 წელს.**

ხვედრი შემოსატანი 20 %, ე. ი 20 მანეთი თითეულ პაიზე მიიღება გამგეობის კანტორაში ქ. ტფილისს, ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი და ქ. ქუთაისს—წყლის მილის კანტორაში. (3—1)

წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო

სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნატარიუსს ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (სლესრობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავთ დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნდებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი—ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. (5—3)